



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020348716494614

ქ. თბილისი

06 / ივნისი / 2014 წ.

N33-ს

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპრეტენზიო  
კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 17 იანვრის №1-1/131 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის "მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1. თამარ მაისურაძე - ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
- 1.2. მანანა დევაძე - ადმინისტრაციული სამმართველოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- 1.3. ირმა გაგნიძე - ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
- 1.4. ნინო ფანჯაკიძე - იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

1.5. ანა კეკელია - ბრენდის განვითარების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

1.6. გიორგი ბრეგაძე - კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. დაევალოს კომისიას:

2.1. წარმართოს საქმიანობა სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 26 მარტის №15-ს ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის" შესაბამისად;


2.2. განიხილოს კომისიის სახელზე შემოსული განცხადებები დაუყოვნებლივ, ან განცხადებების რაოდენობის გათვალისწინებით - არაუგვიანეს 2 კალენდარული დღის ვადაში;

2.3. განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შეადგინოს ოქმი გამოვლენილი ხარვეზ(ებ)ის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 11 ნოემბრის №61-ს ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი სიგუა